ბავშვის აგრესიულობისა და აღზრდის სტილის კავშირი

მარიამ გაბისონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფიქოლოგია (კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, (ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია დაადგინოს არსებობს თუ არა კავშირი აღზრდის სტილსა და სკოლამდელი ასაკის ბავშვის აგრესიულობას შორის. კვლევა შეისწავლის ბაუმრიდის აღზრდის სტილებს ქართველ მშობლებთან: ავტორიტეტული, ავტორიტარული, მიშვებული. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 17-დან 42 წლამდე ასაკის 178-მა ქალბატონმა, რომელთა შვილის ასაკიც მერყეობდა 1.5-დან 5 წლამდე.(50% გოგონა, 50% ბიჭი). დედების საშუალო ასაკი იყო 25 წელი, ხოლო ბავშვების საშუალო ასაკი იყო 3 წელი. აგრესიის გასაზომად კვლევაში გამოვიყენე CBCL 1.5-5, (Achenbach, 1991b.) ხოლო აღზრდის სტილის განსასაზღვრად: "აღზრდის სტილის კითხვარი" (Robinson, C., Mandleco, B., Olsen, S. F., & Hart, C. H. 1995). კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გასაანალიზებლად გამოვიყენე პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, რის შედეგადაც გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი სკოლამდელი ასაკის ბავშვების აგრესიულობასა და აღზრდის სტილს შორის. კვლევის შედეგების მიხედვით არსებობს უარყოფითი კავშირი ავტორიტეტულ აღზრდის სტილსა და აგრესიას შორის, ხოლო ავტორიტარული და მიშვებული აღზრდის სტილები დადებით კავშირშია სკოლამდელი ასაკის ბავშვების აგრესიულ ქცევებთან. ასევე კვლევამ საინტერესო კავშირი გამოავლინა დედის ასაკსა და ბავშვის აგრესიულობას შორის. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აღზრდის სტილსა და აგრესიას შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვებში.